№ 207 სექტემბრის 25, სამშაბათი. 1866—1884 სექტემბრის 25, სამშაბათი. № 207.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქიქოძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე ცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი ოქტომბრის 1-დამ წლის დამლევამდე 3 მანათი.

ბარსეგან გიორგის-ძე რატიანი გულითადი მწუხარებით აუწყებს რა თავის ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებასა მეუღლისა მისისა, ელისაბედ გიორგის ასულისა, უმორჩილესად სთხოვს მათ მობძანდენ მიცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ 27-ს ამ თვეს (ხუთშაბათს) დილის 9 საათზედ, ნორაშენის ქუჩაზედ, შულინოვის სახლში, ან სამების ეკლესიაში (ფოსტის ქუჩაზედ), სადაც გადახდილ იქმნება პანაშვიდი.
(2—1)

### ბეთანიის მონასტრის განახლებისათვის.

თბილისი, სექტემბრის 25-ს.

ჩვენის გაზეთის დღევანდელს ნომერში წაიკითხავთ ბ. მურიეს წერილს რედაქტორთან. მურიე იწერება, რომ მე ბეთანიაში ვიყავ და ეს არის დავბრუნდი გულ-მოკლული და განადგურებულიო. ის კედელი, სადაც თამარ-მეფის, დავითისა და ლაშას სურათებია, გარღვეულა და საცაა ჩამოინგრევაო. ჩვენ, გულ-გრილ ქართველობას, გაბეჩავებულს საზოგადოებასა და მამულის-შვილებს სულით ძლიერი და მხნე ფრანცუზი მოგვიწოდებს, მივეშველოთ ბეთანიის ტაძარს და განვაახლოთ, რაც განსაახლებელია, თუ არ გინდათ, რომ სამუდამოდ განჰქრეს კვალი ამ საუკეთესო სადიდებელის ნაშთისაო.

იქნება, ერთი ასი თუმანიც საკმაო იყოს ეკლესიის განახლებისათვისაო, გულის-ტკენით ამბობს ბ-ნი მურიე. მაშ გამოაცხადეთ ხელის-მოწერა თქვენის გაზეთის ფურცლებზე—მოგვმართავს კერძოდ ჩვენ—და დარწმუნებული ვარ, არავინ არ გადრკება და თავის ხვედრს წვლილს არ დაიშურებს საერთო, სადიდებელ საქმეშიო.

მოდი და ამის შემდეგ ნუ მიეცემი პოეტთან ერთად სასო-წარკვეთილებას, როდესაც ყოველივე, რაც ჩვენს ამპარტავნობას შეადგენს, რითაც ჩვენ შეგვიძლიან ვქადულობდეთ—ინგრევა, ირღვევა, ჰქრება და თავის გამქრალ ნანგრევებთან ერთად ჟამთა წყვდიადში ჰფლავს, ჰმარხავს რომელსამე ჩვენს სადიდებელს და სათაყვანებელს მოგონებას წარსულის ცხოვრებისას.

გუშინ თუ გუშინ-წინ ჩამოვიდა ახალციხიდამ ერთი ჩვენი ახალ-გაზდა მოგზაურთაგანი, რომელსაც ენახა ვარძია, ზარზმისა და საფარის მონასტერი. მის განცვიფრებას ამ ძეგლთა წინაშე საზღვარი აღარა ჰქონდა. ისე იყო ჩანთქმული საკვირველის, დიდებულის სანახაობით, რომ სიტყვას ველარ იგნებდა, თავისი აღელვებული გრძნობანი დალაგებული გამოთქმით ჩვენთვისაც გაეზიარებინა. მას ენახა ზარზმის ჩედ-წარწერა, რომელშიაც თონიკე მრისთავი, ბერი და მონაზონი, დაწვრილებით მოუთხრობს შემდეგ, შთამომავლობას თავის გამარჯვების ამბავს ბიზანტიის იმპერიის განდგომილ სკლიაროსზე. უნახავს ვარძია—ეს დღევანდელი სასწაული და საკვირველება—და სურათიც გადმოუღია. «აი ატესტატი საქართველოსათვისაო», აღტაცებით წამოიძახა ჩვენმა მოსაუბრემ და გადაგვიშალა ფოტოგრაფიული სურათები ახალციხის მაზრის ძეგლთ-სახსოვარისა. «შეადგინეთ ალბომი, დაბეჭდეთ, ჩაურთეთ მციოდენი ტექსტი—განაგრძობდა ჩვენი მეგობარი—და აჩვენეთ ყველას, მთელს ქვეყანას: საბუთი საქართველოს წარმატებისა და განვითარებისაო.

და მაშინ, როცა ძველთა დროთ ნაშთნი-ღა დაგვშთენია მხოლოდ, როცა იგინი შეადგენენ ჩვენს «ატესტატს»—ჩვენ ასე გულ-გრილად ვექცევით ამ წარსულ დროთა ცხოველს მოწამეთ და ჩვენს მჭევრ-მეტყველ დამცველთ...

ღმერთო ჩემო! რა ძლიერი ცეცხლი აღუნთვია ბეთანიის მომავალ განადგურების სურათს უცხო ტომის, მაგრამ განათლებით გაკეთილშობილებულის და გაუზიზებულის კაცის გულში, რა შეცოდებისა და შენანების გრძნობა ჰსჩქეფს იმის პატარა წერილში ბეთანიის ისეთის მდგომარეობის გამო, რა იდუმალის საყვედურით და დაფარულის სამართლიანი გულისწყრომით მოგვმართავს ქართველობას კეთილ-შობილი მურიე,—ხელის-მოწერა გავმართოთ, რომ ვიდრე აქ, თბილისში „დიდების ტაძრს“ აღაგებდენ უბრალო ფიცრის ჭერი მაინც დავხუროთ უდიდებულესს და გამოჩენილს ტაძარს. ცხონებულის აღმაშენებელის სასაფლაოს.

ნუ თუ ისე გავქვავდებით და გავკლდევდებით, რომ მურიეს მხურვალე სიტყვებიც არ იმოქმედებს ჩვენს გულზედ!.. ნუ თუ ნამცეცი რელიგიური გრძნობა მაინც არ დარჩენილა ჩვენში, რომ რელიგიის პატივის-ცემით მაინც აღვფრთოვანდეთ და კისრად ვიდოთ ტვირთი ამ სარწმუნოებისათვის აღგებულ ქმნულების განახლებისა!

მაშ მოვიდრიკოთ მუხლნი ამ ხელოვნების ტაძრის წინაშე და გამოვსთხოვოთ ლოცვა-კურთხევა ჩვენს მწყემსთ-მთავარს მათ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას და, მხურვალე იმედით გაძლიერებულნი, შევუდგეთ დიდებულის ტაძრის განახლებას. დღე ასი თუმანი კი არა, ათასი დაჯდეს. ზავიჭიროთ ყველამ საქმე, მოვიკლოთ ლუკმა პური, პირის კომლი გავიწყვიტოთ და თითო გროშობით მოვაგროვოთ საქარო. „სიმდიდრე ულევეელია“ ღვთის სახლის განსაახლებლად. ბლაღოვეშჩენსკის სობორში მარტო ერთის მხატვრობის აღსადგენად მთავრობამ ათასს თუმანზე მეტი დახარჯა და ნუ თუ ჩვენ რამდენსამე ასი თუმნის დახარჯვას ვერ შევიძლებთ ისეთი ტაძრის განახლებისათვის, სადაც სამი დიდი სურათი სამთა მეფეთა ცხადად არის დაცული.

ჩვენ ჩვენის გაზეთით მზადა ვართ ყოველივე შრომა ვიტვირთოთ, მივიღოთ ხელის-მოწერა და ყოველივე შემოწირულება გადავცეთ ტაძრის განახლებისათვის დაწესებულს კომიტეტს.

დავასრულებთ ჩვენს წერილს ბ. მურიეს სიტყვებით:

«დროს ნულარ დაჰკარგავთ,—ამბობს მურიე,—გევედრებით ისტორიის სახელით; იმ თამარ დედოფლის სახელით, რომელიც არის ერთი თქვენი დიდებათაგანი და რომლის მოხსენებაც კი კმაროდა, რომ ზიჩის თავისი კალამი არ დაეშურა რუსთაველის სურათებიანის გამოცემისათვის; სახელით იმ წარსულისა, რომლის მჭევრ-მეტყველ მოწმადაც, დანგრეულ ციხე—სიმაგრეების გარდა, არიან ეკლესიანი და მონასტრები კავკასიისა, საქართველოს მეფეთა განსასვენებელნი, რომელნიც ჟამთა ცვლილებას დანგრევისაგან დაუფარავს; სახელით იმ პატივისცემისა, რომელსაც უნდა გრძნობდეთ სარწმუნოების ბედზე აღგებულ ყოველ ქმნულებისადმი—სულ ერთია, რა რელიგიისა და ეროვნობისაც უნდა იყოს იგი; დასასრულ, ხელოვნების სახელით გევედრებით, უშველეთ ბეთანიას!“..

---

ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობს ფრანცუზი ბ. მურიე, რომელსაც საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროსაგან მინდობილი აქვს ჩვენის ძველის ნაშთების გამოკვლევა და აღწერა. განათლებული საზოგადოება კარგად იცნობს ბ. მურიეს, როგორც შემადგენელს ფრანცუზულის წიგნისას «La Mingrélie», რომელშიაც სამეგრელო დაწვრილებით არის აღწერილი. ამას გარდა მალე გამოვა მისივე თხზულება «L'art au Caucase» (ხელოვნება კავკასიაში), რომელიც ტექსტით, ცალკე სურათებით მოგვითხრობს ისტორიას ჩვენი სახელოვანი ძველი ხელოვნებისას. აი ეს უცხო სტუმარი რა შესანიშნავს წერილსა გვწერს ბეთანიის ტაძარზე.

„მ. ხ—ევ! მე არის ეხლა დავბრუნდი ბეთანიიდამ და დავბრუნდი გულ-ჩათუთქული. ის კედელი, სადაც მოჰხატულია შესანიშნავი ფრესკა სრულის სურათებით თამარისა, დავითისა და ლაშასი (ერთად ერთნი უტყუარნი, რომელნიც კი თქვენ მოგვეპოვებათ) და რომელთა ფოტოგრაფიით გადაღება ბ. ერმაკოვის შემწეობით, ჩემდა საბედნიეროდ, მე მოვასწარ,—ეს კედელი გარღვეულა და ჩამონგრევასა ლამის; ყველა სურათებზედ სხვა-და-სხვა ვანდალებს დაუჯღაბნიათ ნახშირით, ან დანით ამოუჭრიათ თავიანთი სახელი, გვარი და სახსოვარი დღე მათის მობძანებისა. აქარც კარია, არც ფანჯარა. უხვ მცენარეობას ყველაფერი დაუმალავს; საქონელი ყველგან თავისუფლად დაიარება. პირველსავე ქარიშხალზედ ჩამოცვივიან ის აგურები, რომელთაც გუმბათი ოდნავ-ღა უმაგრიათ და საუკუნოდ ამოიშლება კვალი საქართველოს ხელოვნების ამა მშვენიერი ნიმუშისა! დროს ნულარ დაჰკარგავთ. გევედრებით ისტორიის სახელით; სახელით იმ თამარ დედოფლისა, რომელიც არის ერთი თქვენი დიდებათაგანი და რომლის გახსენება კმაროდა, რომ ზიჩის თავისი კალამი არ დაეშურა რუსთაველის ილუსტრირებულ გამოცემისათვის; სახელით იმ წარსულისა, რომლის მჭევრ-მეტყველ მოწმადაც, გარდა დანგრეულ ციხე-სიმაგრეებისა, არიან ეკლესიანი და მონასტრები კავკასიისა, საქართველოს მეფეთა განსასვენებელი, რომელნიც აქა-იქ ჟამთა ცვლილებას დანგრევისაგან დაუფარავს; სახელით იმ პატივისცემისა, რომელსაც უნდა გრძნობდეთ სარწმუნოებისადმი აღგებულ ყოველ ქმნულებისადმი,—სულ ერთია რა რელიგიისა და ეროვნებისაც უნდა იყოს იგი. დასასრულ, ხელოვნების სახელით—გევედრებით,—უშველეთ ბეთანიას! იქნება, ერთ ას თუმანზედ მეტი არ დასჭირდეს აუცილებლად საჭირო გასაკეთებლებისათვის. მაშ „დროებამ“ იკისროს ეს სახელოვანი

საქმე და გამოაცხადოს ხელის-მოწერა თავის ფურცლებზედ! მიჰმართეთ ყველას და მე დარწმუნებული ვარ, არავინ არ გადრჩება და ყველა მოგაწოდებთ თავის წვლილს. ვიდრე ტფილისში ალუგებდეთ «დიდების ტაძარს», უბრალო ფიცრის ჭერი მაინც დახურეთ თქვენს უდიდებულესს და გამოჩენილს დედოფალს.

მერი.“

## შინაური ქრონიკა

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ამას წინად სურამში გამართულის წარმოდგენიდამ მოგროვილი ფული, რომელიც «წერა-კითხვის საზოგადოებას» უნდა გადასცემოდა, მოსულია კიდეც ამ უკანასკნელის და ჩაწერილა შემოსავლის დავთარში.

— «მმართებლობის უწყებაში» დაბეჭდილია უუქვეშევრდომესი ანგარიში 1882 წლისა უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის მიერ. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებელნი ბევრით განსხვავდებიან სწავლების მოწყობის მხრით სხვა ამ გვარ სასწავლებელთაგან. ეს განსხვავებანი გამოწვეულნი არიანო ამიერ-კავკასიის განსხვავებულსავე ეკონომიურის ვითარებისა და ადგილობრივ გარემოებათა გამოო. აი ის განსხვავებანი, შემოღებულნი სინოდის ნებადართვით: 1) გაკვეთილები სასწავლებლებში გაგრძელდებიან არა $1^1/_4$ საათს, როგორც წესდება მოითხოვს, არამედ ერთს საათს და ეს ცვლილება იმიტომ არის შემოღებული, რომ აუცილებლად საჭირო იყო ბლომად დაწესებულიყო გაკვეთილები რუსულის ენისა, სახელდობრ: 20—8 საშტატო გაკვეთილის მაგიერ; 2) მომატებ რუსულისა და ქართულის საეკლესიო გალობის გაკვეთილებს და 4 მაგიერ 13-ია დაწესებული; 3) საეგზარხოსოს სასწავლებლებში ისწავლება ქართული ენა, რომლისათვისაც 8 გაკვეთილია კვირაში, და 4) კვირაში რამდენსამე დღეს ხუთ-ხუთი გაკვეთილია ოთხ-ოთხის მაგიერ. ეკონომიური მდგომარეობა ამ სასწავლებლებისა ძალიან სამწუხაროა. არც ერთს მათგანს საკუთარი ეკლესია არა აქვს. ამისა გამო შეგირდები სამრევლო ეკლესიებში დადიან და ამათ არა თუ არ შეუძლიანთ მიეჩვიონ საეკლესიო კითხვასა და გალობასა და პრაქტიკულად სწავლობდენ საეკლესიო ტიპიკონს, არამედ წირვა ლოცვაც კი ვერ მოუსმენიათ დაუბრკოლებლივ;—მაგალითად: ეკლესია, რომელშიაც სამეგრელოს სასწავლებლის შეგირდები დაიარებიან ისე პატარაა, რომ მათთვის დანიშნულ ადგილას მხოლოდ 30 კაცი ეტევა, დანარჩენნი უნდა ეკლესიის გარედ იდგნენ და, რასაკვირველია, სრულიად არ ესმით არც კითხვა და არც გალობა. გორის სასწავლებელს, ტფილისისას და სამეგრელოსას თავიანთ საკუთარი სახლები არა აქვთ და მოთავსებულნი არიან დაქირავებულს სახლებში, რომელნიც მცირედ, ანუ სრულიად მოუხერხებელნი არიან სასკოლო საჭიროებათათვის; მეტის-მეტად მოუხერხებლად არის მოთავსებული უკანასკნელი სასწავლებელი. იგი იმყოფება ორ სახლში, რომელთაგან ერთი ქალაქის ერთს უბანშია, და მეორე—მეორეში. საკუთარი სახლები დანარჩენის სასწავლებლებისა—ძველები არიან, ვიწრონი და სწავლისათვის მოუხერხებელნი. ქუთაისისა და ტფილისის სასწავლებელთ მცირეოდენის შეგირდების გარდა, რომელთათვისაც საერთო საცხოვრებელი სახლებია გამართული, ყველა დანარჩენები ცხოვრობენ სრულიად მოუხერხებელ ალაგებში, მომეტებულ ნაწილად ქალაქისა და დაბის განაპირად, ხან გარეშემო სოფლებშიაც კი. უკიდურესი სიღარიბისა გამო, შაგირდები იძულებულნი არიან შეშა და წყალი ზიდონ შორიდამ, თვითვე ირეცხონ საცვალი და ყიდულობდენ ბაზრებში მასალას თავიანთის ღარიბული საჭმლის მოსამზადებლად. საეგზარხოსოს სასწავლებელთ შორის მომეტებულ გაჭირვებაში იმყოფება გურიისა, რადგანაც გურიის სამღვდელოებას, რომლის საშუალებითაც არსებობს ეს სასწავლებელი, თავის სიღარიბისა გამო არ შეუძლიან საჭიროებისამებრ შეინახოს იგი. მაგრამ ძალიან და ძალიან საჭირო კია, რომ გურიის სამუსულმანო(!) მხარეში არსებობდეს სასულიერო სასწავლებელი. ამ აზრით საანგარიშო წლის დამლევს უწმინდესმა სინოდმა მიანდო ამ სასწავლებლის სამეურნეო გამგეობას განიხილოს, თუ შეიძლება, რა ნაწილი იქმნას მოუმხმარებელი ამ სასწავლებლის საჭიროებათათვის იმ ფულიდამ, რომელსაც სასულიერო სასწავლო თანხა ეწოდება. მეტად ღარიბი და ღატაკი მდგომარეობა საქართველოს საეგზარხოსოს სასწავლებელთა არ შეიძლება ცუდად არა მოქმედებდეს როგორც სწავლებისა, ისე ზნეობრივ აღზრდის მხრივ; მაგრამ მაინც ერთ მხრივაც და მეორე მხრივაც ზოგი კარგი და კეთილი მხარენიც იქმნენ აღმოჩენილნი რევიზიის მიერ. შედარებით უფრო კარგს მდგომარეობაში არიან ტფილისისა, ქუთაისისა და ცოტაოდნად სამეგრელოს სასწავლებელნი, უფრო ცუდს მდგომარეობაში—გურიისა.

— გორიდამ გვწერენ შემდეგს: „გორის საქალებო პროგიმნაზია ძრიელ ღარიბად არის; მმართველნი და გავლენიანი გარეშე პირნიც ცდილობენ, რომ მას (პროგიმნაზიას) ხელი მოუმართონ. სხვათა შორის მართვენ ხოლმე «ლატარიას». წრეულს კნ. ა. ა. ამილახვრისამ შეაგროვა მრავალად სხვა-და-სხვა ნივთები, დღესაც სთხოვს, რომ მას გამოუგზავნონ, ვისაც რა ემეტება შესაწირავად პროგიმნაზიისათვის. მომავალი თვის ოკტომბრის პირველ რიცხვებში ხსენებული კნ. ან. ა. ამ—ის თაოსნობით იქმნება შეწირულ ნივთთა «ლატარია» პროგიმნაზიის სასარგებლოდ. კარგი იქმნება, ვისაც შეძლება აქვთ, თავისი შემწეობა აღმოუჩინონ, მცირედითაც არის შესაწირავით, ღარიბ საქალებო სასწავლებელს.

— კვირას, ამ თვის 23-ს, აკურთხეს დიდუბის ეკლესია, რომელიც წელს ააშენეს ხელ-ახლად. ეს ეკლესია ერთი იმ ძველ ნაშთთაგანი არის, რომელიც ასე მრავლად გადარჩენია ჟამთა-ვითარებას ნახევრობით დანგრეულ-დაქცეულნი. ამ ეკლესიაში უკურთხებიათ მეფედ ყველა ქართველისათვის მოწიწებით მოსაგონებელი თამარ დედოფალი. ეკლესია აკურთხა ეგზარხოსმა და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, თამარ დედოფლის სახელიც იყო მოხსენებული. დიდ-ძალი ხალხი, რომელიც ეკლესიის კურთხევამ მიიზიდა, ტაძარში ვერ ეტეოდა და ეკლესიის კედლებთან მიჯგუფებულიყო. წირვა და პარაკლისი რუსულს ენაზედ იყო. წირვის შემდეგ იქავ გამართულს კარვებში ეგზარხოსი და სხვა საპატიო პირები სადილად იყვნენ მიწვეულნი. ეკლესია, როგორც მოგვითხრობს კარის ზედ წარწერა, აღშენებულა სხვა-და-სხვა პირთა და შემწირველთა საშუალებითა და საფასით. ხოლო ღვაწლი და გულს-მოდგინება ყოფილა დეკანოზის იმნაძისა, მღვ. ზედგინიძისა და აზ. გიორგი ქართველიშვილისა.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. მოჩხუბარიძის თხზულებათა გამოცემა ბ. გრიქუროვს უკისრია და უკვე შესდგომია ბეჭდვას. პირველად გამოვა «მლოსო», მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან და «მლგუჯა» ისტორიული მოთხრობა.

— ჩვენ მივიღეთ თ. რ. ერისთავისგან შედგენილი ლექსიკონი «მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოთა». წიგნი შეიცავს 167 გვერდს in-8. ამ წიგნზედ უფრო დაწვრილებით შემდეგ მოვილაპარაკებთ, ხოლო ეხლა ვიტყვით, რომ ეს ლექსიკონი არა მცირედს შემწეობას აღმოუჩენს იმათ, ვინც ბუნების მეცნიერებასა სწავლობს. აგრეთვე უსარგებლო არ იქნება ჩვენის ყმაწვილის ექიმებისთვის, ვინც სხვა-და-სხვა წამლების შემადგენელი ნაწილების სახელების სამშობლო ენაზედ შეტყობას მოისურვებენ. წიგნს ფასი გამოცხადებული არა აქვს.

— გაზ. „თერგის უწყებანი“ გვატყობინებენ, რომ ამ ჟამად ვლადიკავკაზში იმყოფება საფრანგეთიდგან მოსული ვილაცა დიდებული სტუმარი, რომელსაც კავკასიის ჯირითობა ისე მოსწონებია, რომ საფრანგეთში სამსახურში შესასვლელად მიუწვევია რამდენიმე ოსი. ფრანცუზისგან მიწვეულს რიცხვზედ ერთი სამად მეტი მსურველი აღმოჩენილა ჯერ მარტო ოლგას სოფელში, რომელიც ვლადიკავკასიდგან 7-ს ვერსის სიშორეზედ მდებარებს.

— ფოთიდგან იწერებიან, რომ როსტოველს ერთს ვაჭარს ქალაქის ფოთის თავისუფალი ადგილი უქირავებია, რათა ამ ადგილზედ გამართოს ნავთის შესანახი რეზერვუარი და აქედან გზავნოს შავის ზღვის სხვა-და-სხვა სანაპირო ადგილებში და სამზღვარ გარედ. ამ გვარად ფოთი არა მცირედს შემოსავალს წაართმევს ბათუმს და მრავალის გემების მოზიდვით ფოთში ისევ გამოაფხიზლებს დროებით შემდგარს ვაჭრობას. ადგილი, სადაც სანავთო რეზერვუარს გამართვას უპირობენ, იმ ნავთსაყუდართანვეა, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა დასრულდეს.

— «ბაქოს უწყებანი» იწერებიან, რომ ინგლისში მომხდარ გამოცდის შემდეგ ზეთის ჩასხმით ზღვის მღელვარების შეყენებისა, ახლა შავ ზღვაზედ უნდა გამოსცადონო. მხოლოდ ზეთის მაგივრად ნავთი უნდა იხმარონ, რადგანაც ამ ნივთიერებით ჩვენი ქვეყნები ფრიად მდიდარნი არიანო. ამისათვის, ორი ინჟინერი არის დანიშნული და გამოცდას ამ მოკლე ხანში დაიწყებენო.

## „დროების“ კორესპონდენცია

დ. ყვირილა, სექტემბრის 18-ს.

ამ ჩვენმა პატარა დაბამ თვალები გამოაჭყიტა ამ ბოლოს დროს. იქ, სადაც ამ ორი სამი წლის წინად ყანები და ცარიელი ადგილები იყო,—დღეს ორ-ორ სართულიანი სახლები გამოჭიმეს; იქ, სადაც შარშან და შარშანწინ «ნეკრესის კარებიანი» ხის ხიდი იყო, დღეს რკინისა გაგვიკეთეს; ყმაწვილების გონების სავარჯიშოდ—ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი გვაქვს გახსნილი, ასე გასინჯეთ, რედაქციაც კი გვაქვს, თუმცა საბეჭდავი კი გვაკლია.

სამწუხაროდ, თუმცა ასე გაიზარდა, გაცოცხლდა ჩვენი ყვირილა და გარეგნობით ცოტაოდენი ლაზათი დაედო, ნამდვილად კი ბინძურობა და უწმინდურება ბევრი სუფევს. ამის დასამტკიცებლად საჭიროა წაიკითხოს კაცმა სია იმ მცხოვრებთა, რომელთაც ჯარიმა დააწერა ამ დღეებში აქაურმა ექიმმა და მსაჯულმა დუქნებისა და სახლების დათვალიერების დროს. ამას ბატონ «ხოლერას“ უნდა ვუმადლოდეთ, თორემ ვინ გაიბერტყავდა ყურს. დღეს დიდ-შეწუხებაში ვართ უფარნობით. თუ პატარა შეღამდა, ღმერთმა ნუ გაგვატაროს ჩვენის ყვირილის „პროსპექტზედ“, თორემ ან ოთხ-ფეხიან ძაღლებს ვერ წაუხვალთ და ან ორ-ფეხიანს ვერ გადურჩებით. ამ უკანასკნელთ რიცხვი აქ თან-დათან მატულობს, ჩვენდა სამწუხაროდ. ამ დღეებში რკინის გზის პირ-და-პირ გაუტეხეს დუქანი ერთ აქაურ ვაჭარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგანს ვ. ხაინდრავას, რომელსაც 300 მანეთამდის წაართვეს ნივთებით და ფულით. ქურდებზედ უჩვენებია პრისტავისთვის და უთხოვნია, რომ იმ დღესვე გამოეძია ეს საქმე...

ვრთს დასახელებულს ქურდთაგანს უთქვამს, დღეს სიცხე მაქვს და დალაგებით ვერას მოგახსენებთო. დანარჩენ ქურდებს ეხლაც ეძებენ...

ს. ძლდიეთში 17 წლის ყმაწვილი კაცი დაკლეს ღამე მძინარე და იმის მკვლელიც დღემდის დაფარულია და, ვინ იცის, იქნება შემდეგაც ვერ აღმოაჩინონ! სამწუხაროა ჭეშმარიტად. ბაზრის ზედამხედველი ბ-ნი მ—ნი რატომ ფიცხელ ყურადღებას არ აქცევს იმ გვარ კაცებს, რომელნიც უბილეთოდ და სრულიად უსაქმოდ დაეთრევიან დაბაში, დღისით ან სძინავთ და ან უნამუსოთა შორის ატარებენ დროს და ღამე კი «ვიზიტებზე» დადიან დუქნებსა და ოჯახებში...

ამას წინად რაღაც «სკანდალი» მოხდარიყო ბაზარში და მის მაგიერ, რომ გაეგო საქმე როგორ იყო, მოიწვია ერთი იმ „სკანდალში“ მონაწილეობის მიმღები ბიჭი და თქვენი მოსაწონარი „პრისტაული“ აჭამა. შემდეგ პროტოკოლი შეუყენა, რომ «тишина და спокойствіе» დაარღვია და ამას გარ. და სამსახურის ასრულების დროს შეურაცხყოფა მომაყენაო.“

აი თუ გინდათ ამ დღეებში მომხდარი შემთხვევა, აღწერილი „დროების“ ერთს წინა ნომერთაგანშიაც.

მოგეხსენებათ, რომ ქვირილაში დანიშნეს წელს «კამანდა» (150 კაცი) თავის უფროსით და ერთი აფიცრით; ესენი დაბინავდნენ ერთის გლეხის ყანის სიახლოვეს. «კამანდის» უფროსს ბ. ხ—ჩს, როგორც ცოლ-შვილიან კაცს, გაუმრავლებია გოჭები და ამ გოჭებით მთლად აუოხრებია ამ გლეხის სიმინდი. გლეხს ორჯერ-სამჯერ შეუტყობინებია ეს გარემოება, მაგრამ ხ—ჩს ყურადღება არ მიუქცევია. ერთ საღამოს მოსულა გლეხი სიმინდში და კიდევ უნახავს შიგ გოჭი; გაჯავრებულს ვეღარ მოუთმენია და დაკლული გოჭი გადმოუგდია ღობეზე. ბ. ხ—ჩს შეუტყვია, დაუძახნია რამოდენიმე სალდათისთვის და იქამდის უცემნია, სანამ გრძნობას დაჰკარგავდა. შემდეგ ამას არ დასჯერებია და თავის უფლებით ჩაუსვამს საპყრობილეში. ახლა საწყალი გლეხი ჩივილს აპირებს, მაგრამ ჯერაც ვერ უპოვნია ისეთი პირი, რომელმაც ურჩიოს, თუ სად უნდა მიიქცეს საჩივლელად... მაზრის გაუქრია და შეუმოწმებიათ. «რადგან ამ გოჭს მუცელში არც ერთი კაკალი სიმინდის მარცვალი არ აღმოჩენილა, ამისათვის დასაჯეთ ეს გლეხი, ისე როგორც ქურდი, რომელმაც მოპარა გოჭი და დამიკლაო,—უთქვამს ბ. ხ—ჩს. სასაცილოც არის და სამწუხაროც ეს ამბავი.

მეორე საქმე ამ დღეებში მოხდა აქ. საზოგადო ვაჭრობის დროს რაღაც შეურაცხყოფა მიაყენა აქაური მაზრის სამმართველოს საქმის მწარმოებელმა ბ. ა—ძემ აქაურსავე კეროსინის ვექილს და მან (ვექილმა) ამისთვის გვარიანი სილა გააწნა. პირველს ბ. ა—ძემ უჩივლა და ითხოვდა, რომ დაესაჯათ მისი გამლახველი, მაგრამ ლახეთ ბედსა! მის მაგიერ, რომ ის ვექილი დაესაჯათ, თვითონ ა—ძე დასაჯეს 15 მანეთის გადახდით...

თანხანაშვილი.

---

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

როგორც მახსოვს, ჩვენმა ბლაღოჩინმა მღ. დ. ღ-ძემ 1882 წ. საბლაღოჩინო კრილობაზე გამოგვიცხადა, რომ ყველა სამღვდელოებას შეძლების დაგვარად შეგვეწირა ფული ქართული საეკლესიო გალობის აღდგინებისათვის. იმისმა სიტყვამ ყველას სურვილი აღგვიძრა და შევსწირეთ, როგორც მღვდელებმა, ისე დიაჩოკებმა. ჩვენ ვსთხოვეთ მ. ბლაღოჩინს, რომ შემწირველების სიები თქვენს პატივცემულ გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილიყო და ისიც დაგვპირდა ამის ასრულებას. მაგრამ, სამწუხაროდ, აგერ ორი წელიწადი გადის და ამის თაობაზე არც ერთ გაზეთში არაფერი გამოცხადებულა. სად წავიდა ეს ფულები და რას მოახმარეს, ჩვენ სრულებით არაფერი ვიცით. გთხოვთ უმორჩილესად თქვენი გაზეთი „დროებისვე“ შემწეობით მოგვცენ პასუხი, ვისიც რიგია—ეს ჩვენი შეკრებილი ფულები სად არის? თუ გადასცა ვისმეს, ვის, სახელდობრ? და ან რა მიზეზია, რომ დაგვპირდნენ სიების გამოცხადებას „გაზეთში“ და არ გამოუცხადებიათ.

შორაპნის საბლაღოჩინო მაზრის მღ.
ი. ხ-ძე.

---

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

სექტემბრის 22-ს

სარატოვი. სექტემბრის 20-ს ჩამოინგრა სოკოლოვის მთის ნაწილი; ვოლგასა და ჩამონგრეულს ადგილს შუა უშველებელი ნახვრეტები გაკეთდენ; ზოგიერთი ადგილები ღრმად ჩაჯდენ ძირს, ზოგმაც მაღლა აიწია; ეს ადგილი ხშირად არის დასახლებული და ქარხნებია ზედ გამართული; ბევრი სახლი დაინგრა და გაფუჭდა; მაგრამ ხალხს კი არა ვნებია-რა.

ნიკოლაევი. დღეს დილით, დიდი მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის, ფლოტის ოფიცერთა და დიდ-ძალი ხალხის თანადასწრებით; დაიწყეს ჯავშნიანი გემის «Екатерина вторая»-ს კეთება.

ვენა. წარჩინებული მხატვარი მაკარტი გარდაიცვალა.

კოპენჰაგენი. ქრისტიანობორგის კოშკში მრავალი ხელოვნობის ნაწარმოები საგნები შემუსრა ცეცხლმა, მათ რიცხვში ზოგიერთი ტორდვალდსენის ქმნილებანიც; ეკლესია და ტორდვალდსენის მუზეი გადაარჩინეს; ზარალი მილიონობით არის.

პარიჟი. პალატები ოქტომბრის 14-ს შეიკრიბებიან; ფრანცუზებმა დაამარცხეს ტონკინში ჩინეთის რაზმი, რომელიც ოთხი-ათასი კაცისაგან შესდგებოდა, საგრძნობელი ზიანი მისცეს და ჩინეთის სამზღვრისკენ გაყარეს.

პეტერბურგი. ს. პეტერბურგის უწყებები გვაცნობებენ,—იმ შემთხვევისთვის, ვინიცობაა, ხოლერა გაჩნდეს,—პროექტი სდგება, რომ მერმის ექიმების და ფელდშრების რიცხვი გააბევრონ ქალაქებში და მაზრებშიო.

პარიჟი. ადმირალი კურბე იწერება, რომ ოქტომბრის 1-ს (ახ. სტ.) ომი დაიწყო კელუნგის წინაამდეგ; ოქტომბრის 2-ს ფრანცუზებმა დაიპყრეს ორი მოწინავე სიმაგრე (ფორტი); ამ საქმეში ფრანცუზებს მოაკლდათ 4 მოკლული და 13 დაჭრილი, ხოლო ჩინელებს 100 კაცი მოუკვდათ და 3000 დაეჭრათ. ოქტომბრის 2-ს ლესპსი იერიშით მივიდა ტანშუიზე და ფორმოზის კუნძულის სხვა პორტებზე.

სექტემბრის 24-ს.

პეტერბურგი. ხმა ისმის, რომ უნივერსიტეტების რექტორებად გვალად დანიშნულ იქმნენ: ანდრეევსკი — პეტერბურგში, ბოგოლეპოვი — მოსკოვში, ბულიჩი — ყაზანში, რენენკამპფი — კიევში, იაროშენკო — ოდესაში; ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა შჩელკოვი, ცეხანოვსკის მაგივრად, რომელიც სამზღვარ გარედ იქმნა გაგზავნილი 11-ის თვის ვადით.

კაირი. სახემწიფოთა წინაამდეგობის საპასუხოდ ნუბარ-ფაშა ამბობს, რომ ხაზინის ეხლანდელის ვითარების გამო ეგვიპტის სახემწიფო ვალის გადახდის შეყენება აუცილებლად საჭიროაო.

ბუხარესტი. პალატები დათხოვნილ იქმნენ; ამომრჩეველნი მოიწოდებიან დეკემბრის 6-ისათვის; ახალი პალატანი ნოემბრის 15 დაიწყობენ მოქმედებას.

შანხაი. კელუნგი დაიჭირეს ფრანცუზებმა.

---

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 ასსათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამვლელად; ხდამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამვლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამვლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლველად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამვლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

---

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | — კ. |

---

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღ. მ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

# განცხადებანი

თანხმად დებულებისა მე-6 § ტრაქტირების შესახებ, დეპუტატნი ტრაქტირების, ბაყლებ..., პურის საჭმელი დუქნების და ქარვასლების საზოგადოებისა ვალდებულნი არიან არა უგვიანეს ნოემბრის 1-ლა შეიტანონ სა-ფულო აქციზი მომავალს 1885 წლისთვის. ამისათვის თბილისის საქალაქო გამგეობა სთხოვს ზემოხსენებულთ სავაჭრო ადგილების პატრონთა მიიღონ არა უგვიანეს ამ წლის ნოემბრის 1 ლისა გამგეობისაგან მოწმობანი დასახელებულ სავაჭრო ადგილთა გასახსნელად 1885-ის წლისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოეპყრობიან ტრაქტირების შესახებ დამტკიცებულის დებულების მე 15 და მე 35 §§-ის თანხმად. (1—1)

გამოცხადება
გორის საქალაქო გამგეობა (უპრავა)

აცხადებს საყოველთაო ცნობისათვის, რომ ამ გამგეობის სამსჯავროში დანიშნულია ოც-და-ცხრას ამა სექტემბრისასა ვაჭრობა, გარდაწყვეტილებით ვაჭრობისა, საქალაქო ფარნების ანთების გაცემაზედ ერთის წლის ვადით. ამ ვაჭრობის პირობები შეიძლება გაისინჯოს გამგეობის კანცელიარიაში ყოველ დღე დილის ცხრა საათიდგან შუადღის უკან ორ საათამდე. (3—3)

ერთს ქალსა სურს აღზარდოს ბავშვები ოჯახში და უჭიროს ბინა

საჭმელი. თანხმაა თბილისის გარედ გასვლაზედაც.

ადრესი დასტოვეთ „დროების“ რედაქციაში. (5—5)

ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, თვადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარბიცის საფხეკები, ფნაგირები კაცისა და ქალისა; ალგირები, ხალისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბადო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ჭიქები, ზარადები, კამსიულები, ხათანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სანოვაგებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პეკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში № 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—53)

ინგლისის მაღაზია
Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2—,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკონადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, ფნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—66)

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზა
განცხადება

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის მმართველობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სექტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის წასვლა-წამოსასვლელად დანიშნულნი არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის რიგით, მატარებლებში კი, რომელნიც მუდამ დადიან—მცხეთის მოგზაურნი არ მიიღებიან.

30 სექტემბერს

| თბილისიდამ | მცხეთიდამ |
| --- | --- |
| ღამისა 6 საათზე. | ღამისა 7 საათ. |

1-ლს ოქტომბერს

| | | | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| დილისა | 7 | საათზე | 12 მინ. | დილისა | 8 | საათ. | 21 მინ. |
| | 9 | ,, | 15 ,, | | 10 | ,, | 20 ,, |
| | 10 | ,, | 23 ,, | | 11 | ,, | 32 ,, |
| | 11 | ,, | 35 ,, | შუადღისას | 12 | ,, | 40 ,, |
| შუადღისას | 2 | ,, | 42 ,, | | 4 | ,, | 25 ,, |
| | 4 | ,, | 28 ,, | | 5 | ,, | 35 ,, |
| | 5 | ,, | 38 ,, | | 6 | ,, | 45 ,, |
| ღამისა | 6 | ,, | 48 ,, | ღამისა | 8 | ,, | 20 ,, |

ბილეთები გაიყიდება მარტო თბილისის სტანციაზე მცხეთაში წასასვლელად და წამოსასვლელად. ამ ბილეთებით შეიძლება მოგზაურობა მარტო ამ საგანგებო მატარებლებით, რომელნიც 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს მცხეთასა და თბილისს შუა ივლიან.

რადგანაც თითოეულს მატარებელში იქნება: 1 კლასში 48 ადგილი, 2 კლასში—128 და 3 კლასში—600, ამისათვის მოგზაურებს არ შეუძლიანთ საყვედური განაცხადონ, როცა ეს ადგილები მთლად დაჭერილი იქნება და უნდა უცადონ სხვა პოეზდს.

იმ მოგზაურებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქნებიან, გამოართმევთ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ქქნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთის მოედანზე, ფოსტისა და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის ათს საათამდინ.

ის პირნი, რომელნიც ისურვებენ საგანგებო მატარებლებით წასვლას 30 სექტემბერს და 1-ლ ოქტომბერს მცხეთიდამ თბილისში, იმათთვის ბილეთები გაიყიდება მცხეთაში. (3—1)

საგლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აურებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშვები ჭურჭლის საწმენდად (ბორაკსი) თეთრეულისთვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, ჯიბის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწველები, ნემსები, მაგნიტები, სვის, ტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შპოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმიო ქაღალდი კატერ-გლობუსტისათვის და სხვ. და სხვ.

პატარა—20 კ. (100—12)

არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—16)

*Доз. ценз. Тифлисъ, 24 Сентября 1884 г.* სტამბა არ. ძალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი